

მონმის ჩვენება, როგორც მტკიცებულების არსი და მნიშვნელობა

მიხეილ მამნიაშვილი

*სტუ-ს პროფესორი,
სამართლის დოქტორი*

თამარ მამნიაშვილი

*ბიზნესის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის
ასისტენტი-პროფესორი,
საჯარო მმართველობის დოქტორი*

რეზიუმე

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად კვლავ გვევლინება მონმის ჩვენება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.

ნაშრომში გადმოცემულია მონმის ჩვენების მტკიცებულებითი მნიშვნელობა, აქცენტი გაკეთებულია მონმის არაპირდაპირი ჩვენების მნიშვნელობაზე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, მიმოხილულია ამ მიმართულებით საზღვარგარეთის (ანგლოსაქსური, კონტინენტური) ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა.

საკვანძო სიტყვები: მონმის ჩვენება, ირიბი ჩვენება, დაუშვებელი მტკიცებულება, მტკიცების დასაშვებობა.

WITNESS TESTIMONY AS AN ESSENCE AND MEANING OF EVIDENCE

Mikheil Mamniashvili

Professor of GTU, Doctor of Law

Tamar Mamniashvili

Assistant Professor of Business and Technology
University, Doctor of Public Administration

RESUME

According to acting Criminal Procedure Legislation, witness testimony still is considered as one of the significant evidence. According to 47-th article of Criminal Procedure Code, during witnessing at court, investigator, prosecutor, accused person, victim, expert and the translator as well are entitled to witness status and its rights and are charged with its duties.

Work describes an evidentiary value of witness testimony. Focus is made on importance of indirect testimony of witness, proper conclusions are drawn via analyzing the judicial practice, in this line the foreign country (Anglo-Saxon, continental) procedure legislations are reviewed.

Keywords: Witness Testimony, Indirect Testimony, Unacceptable Evidence, Acceptability of Evidence.

* * * *

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახედ კვლავ გვევლინება მონმის ჩვენება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს. სისხლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად გამომძიებლის სტატუსზე მხარეები (ბრალდება, დაცვა) უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ თვითმხილველ მონმეებისა და სხვა პირების გამოკითხვა, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლით დადგენილი წესით, ანუ გამომძიებლის დროს პირის მონმედ დაკითხვა წარმოებს მაგისტრ მოსამართლესთან.

კანონმდებელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლში უშვებს გამონაკლისს, როდესაც მონმის ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონმის ჩვენება მტკიცებულებად ვერ იქნება, თუ მონმე ვერ უთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს. აღნიშნული სამართლის ნორმის საფუძველს წარმოადგენს: პირველი, მოსაზრება იმის შესახებ, რომ მტკიცებულება უნდა ემსახურობოდეს მხოლოდ საქმის კონკრეტულ გარემოებას და არა ვარაუდის გამოთქმას და მეორე, ინფორმაცია, რომელიც დაფუძნებულია

მოსახლეობაში გავრცელებულ ხმებზე ანდა მიღებულია უცნობის წყაროდან, არ წარმოადგენს საიმედო მტკიცებულებას და მისი შემოწმება უკიდურესად რთულია.

დაუშვებლად ითვლება მონმის ისეთი ჩვენებაც, თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, ფსიქიკური ავადმყოფობა გულისხმობს ადამიანში ისეთ დაავადებას, ანდა ჯანმრთელობის დროებით ისეთ მოშლას, როდესაც ის მოკლებული იყო შესაძლებლობას სწორად აღიქვას, დაემახსოვრებინა და გადმოეცა ესა თუ ის ფაქტი (გარემოება), რისი თვითმხილველიც იყო, ფსიქიკური დაავადებისას, ჭკუასუსტობისას, ან სხვა ავადმყოფური გარემოებების გამო. რაც შეეხება ფიზიკურ ნაკლს, კანონმდებელს მხედველობაში აქვს ისეთი გარემოება, როდესაც მონმე ახლომხედველი ან შორსმხედველია, ან აკლია მხედველობა, სმენა და ასე შემდეგ, რის გამოც ის მოკლებულია მომხდარი შემთხვევის აღქმის, დამახსოვრებისა და მისი სწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთან, თუ მონმის ჩვენებაში არსებითი ხასიათის წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

მონმის ჩვენება ასევე დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მონმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი ითვალისწინებს მონმის ირიბ ჩვენებას. ჩვენი შეხედულება თვით ტერმინ „ირიბ ჩვენება-სთან“ დაკავშირებით სავსებით ემთხვევა პროფ. შ. ფაფიაშვილის მოსაზრებას, რომელიც არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ უმჯობესია ტერმინი „ირიბი“ შეიცვალოს „არაპირდაპირით“ და საპროცესო კოდექსში თუ ქართულ ენაზე გამოცემულ პუბლიკაციებში დამკვიდრდეს სიტყვები „არაპირდაპირი ჩვენება“ ან/და „არაპირდაპირი მტკიცებულება“.¹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილი გვაძლევს ირიბი ჩვენების ცნებას, რომ ის არის მონმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.

ამასთანავე, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება (სსსკ 76 მუხლის მე-3 ნაწ.); ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ჩვენს მიერ შემომოყვანილი მაგალითი, როდესაც ბორისმა ჩაიდინა გიორგის განზრახ მკვლელობა, რა დროსაც არსებობდა როგორც თვითმხილველის – არჩილის ჩვენება, ასევე დიმიტრისა და ელგუჯას არაპირდაპირი (ირიბი) ჩვენება.

ამდენად, მხოლოდ ირიბი ჩვენების საფუძველზე არ შეიძლება ბრალდებულის მსჯავრდება. მაგალითად, ბრალდებულმა ზ.გ.-მა გამოძიების პროცესში აღიარა გ.ბ.-ს განზრახ მკვლელობა და ქურდობა, რომელმაც შემდგომ აღიარებითი ჩვენება გადათქვა. სასამართლო პროცესზე მონმის სახით დაკითხული იქნა გამომძიებელი, რომელმაც დაადასტურა, რომ როდესაც კითხავდა მონმის სახით ზ.გ.-ს, მან აღიარა დანაშაული. ამდენად, გამომძიებლის ჩვენება წარმოადგენს ირიბ ჩვენებას, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ჩვენების გარდა სხვა რაიმე მტკიცებულება ვერ იქნა მოპოვებული, ზ.გ.-ის მიმართ მოსამართლის მიერ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი.²

ამ მიმართებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება, მაგალითად, პროფ. შ. ფაფიაშვილი ირიბი ჩვენების საკანონმდებლო ინტერპრეტაციას (სსსკ 76-ე მუხლი) მიიჩნევს არა ირიბ (არაპირდაპირ) ჩვენებად, არამედ ნაწარმოებ მტკიცებულებად.³

ამასთანავე მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ თუ კი გამოსაძიებელ საქმეზე მოპოვებული ვერ იქნა სხვა პირდაპირი მტკიცებულება, მხოლოდ ირიბ (არაპირდაპირ) ჩვენებაზე დაყრდნობით პირის მსჯავრდება დაუშვებელია.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა კ.ქ-სა და მისი ინტერესების დამცველის საკასაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის განაჩენზე, რომლებიც ითხოვდნენ მსჯავრდებულ კ.ქ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის განაჩენით კ.ქ. ცნობილი იქნა დამნა-

1. ფაფიაშვილი, მტკიცების ცნება, არსი და მნიშვნელობა წიგნში საქართველოს „სისხლის სამართლის პროცესი“, ზოგადი ნაწილი, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, . 233.

2 სისხლის სამართლის საქმე #1/4595-14 #006230414001 ზ.გ.-ს მიმართ.

3 შ. ფაფიაშვილი, მტკიცებულებათა მოპოვების პროცესუალური ხერხები და საშუალებები, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, გვ. 258-29.

შავედ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ე.ი. სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით) – სასჯელის ზომად შეეფარდა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

კერძოდ, დაზარალებულ ნ.ქ-ემ აჩვენა, რომ 2013 წლის 20 ივლისს შეატყობინეს, რომ მისი ბინა იყო გაქურდული და მოპარული იყო კომპიუტერი, როდესაც ის მივიდა თავის საცხოვრებელ ბინაში მდებარე, წყალტუბო ში, კ-ს ქუჩა, მე-2 შესახვევი, ბინა #–ში, კარები დახვდა გატეხილი, მისი კუთვნილი კომპიუტერი წაღებული, გარეთ მდგარ მაგიდაზე კი იდო რკინის ნაჭერი.

ანალოგიური გარემოება დაადასტურეს მოწმეებმა მეზობლებმა თ.კ.მ. და ი.ჩ.მ. (დაზარალებულის შვილი), ამ უკანასკნელმა ასევე განმარტა, რომ ბრალდებულს კარგად იცნობს, მასთან აკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა, მასთან სამჯერ არის ნამყოფი და უსარგებლოა მათი კომპიუტერით.

მოწმე გ.ბ.-ის (ინსპექტორ-გამომძიებელი) ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წლის 26 ივლისს მიიღო შეტყობინება, იმის შესახებ რომ ნ.ქ.-ის საცხოვრებელი ბინიდან სავარაუდოდ კომპიუტერი მოპარული იყო კ.ქ.-ის მიერ და ინახებოდა მისსავე საცხოვრებელ ბინაში, რის შესახებაც აცნობა ხელმძღვანელობას, რის შემდეგ გამომძიებელ გ.ც.-სთან ერთად ჩაატარა ჩხრეკა, საიდანაც ამოიღო კომპიუტერი, რაც კანონშესაბამისად იქნა ამოღებული და დაილუქა.

ბრალდებულ კ.ქ.-ის ჩვენებით დადგენილია, რომ კომპიუტერი მართლაც მისი სახლიდან იქნა ამოღებული, მაგრამ ის არავისგან არ მოუპარავს და 700 ლარად შეიძინა ქუთაისში უცნობი პირისგან.

სასამართლოს დადგენილად მიაჩნია და სადაოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ნ.ქ.-ის კუთვნილი კომპიუტერი ამოღებულია ბრალდებულ კ.ქ.-ის ბინიდან, რაც დადასტურებულია, როგორც კ.ქ.-ის ბინის ჩხრეკით, ასევე მოწმეების ჩვენებებით.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზე, რომ კ.ქ.-ის მიერ ნ.ქ.-ის ბინიდან კომპიუტერის ფარული დაუფლების ფაქტი დასტურდება მხოლოდ მოწმე გ.ბ.-ის ირიბი ჩვენებით, რომელიც განმარტავს, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად,

კომპიუტერი მოიპარა კ.ქ-მ.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სსკ 75-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად „მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილ ინფორმაციის წყაროს“, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად „ირიბია ისეთი ჩვენება, რომელიც ეფუძვნებასხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია“. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, გ.ბ.-ის ჩვენება კ.ქ.-ის მიერ კომპიუტერის მოპარვის ფაქტზე ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან წარმოდგენილი ინფორმაციის წყარო არის ოპერატიული ინფორმაცია, ამასთან, გ. ბ.-ის ირიბი ჩვენების გადამოწმება შეუძლებელია ინფორმაციის თავდაპირველ წყაროსთან.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „... გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძვნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. იმავე შინაარსის მატარებელია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრული ეჭვის მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ამდენად საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნ. ქ-ის ბინის გაქურდვის ფაქტი, კ. ქ-ის მიერ კომპიუტერის მოპარვა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომპიუტერი ამოღებული იქნა კ. ქ-ის ბინიდან, არ ადასტურებს მის მიერ ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტს, ანდა ხომ არ შეიძინა ის დაუდგენელი პირისაგან⁴

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ მოწმის ირიბი ჩვენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად სცნო. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ირიბი ჩვენება ზოგადად ნაკლებად საწინდო მტკიცებულებაა და შესაძლებელია დასაშვები

4 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები, სისხლის სამართლის პროცესი, 7-12, 2014. საქმე # 218აპ-14. . 133-142;

იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში, რადგანაც ის შეიცავს „მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს“.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაპირდაპირი (ირიბ) მოწმის ჩვენებას, მტკიცებულებად გამოყენების ორ კრიტერიუმს ადგენს, ესენია:

ა. თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება;

ბ. როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიმართა კანონმდებელს დროულად მიიღოს სისხლის სამართალწარმოების პროცესში, ირიბი ჩვენების მტკიცებულებად დასაშვების და გამოყენების მარეგულირებელი ნორმა თორემ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს არაპირდაპირი (ირიბი) ჩვენების ზოგად დასაშვებას და არ არის გამორიცხული მისი გამოყენების შესაძლებლობა მაშინაც, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობს.⁵

ასევე უდგება ამ საკითხს საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა. მაგალითად, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კატეგორიულად მიუღებელია მოწმის ჩვენება, რომელიც პირველწყაროდან არ მომდინარეობს, რასაც საკმაოდ ძლიერი არგუმენტებით ასაბუთებენ: ამ დროს სასამართლოს წინაშე არ წარდგება პირველწყარო, დაცვას არა აქვს ინფორმაციის მართებულების გადამოწმების შესაძლებლობა ირლევან ბრალდებულის უფლება – პირისპირ შეხედეს მოწმეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას.⁶

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნების, სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვების წესები და პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც განსხვავდება სისტემები. ამავდროულად კონტინენტური ევროპის ზოგ ქვეყანაში დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვების მინიმალური პრინციპები (ესპანეთი, იტალია). საერთო სამართლის ქვეყნებში ეს კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადია და სასამართლოს ეძლევა საშუალება ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების

მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალური წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენების წინააღმდეგ წესის გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს. ზოგ ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება დაფუძნებულია ინკვიზიციურ პრინციპებზე (მაგ. საფრანგეთი, ბელგია, გერმანია) ირიბი ჩვენება დასაშვებია და მოსამართლე წყვეტს ასეთი ჩვენების ღირებულებას.⁷

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ირიბ ჩვენებას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არ შეიძლება განაჩენი დაეფუძნოს მხოლოდ ირიბ ჩვენებას(ებს).

ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 710-ე მუხლის მიხედვით ირიბი ჩვენება დასაშვებია. რადგანაც საპროცესო კოდექსის ასეთი ჩანაწერი განსხვავდება მტკიცებითი სამართლის ზოგადი წესებიდან, ესპანურმა სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა ირიბი ჩვენების დაშვების წესები, კერძოდ, ირიბ ჩვენებას მტკიცებითი ღირებულება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელია პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.⁸

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის 1-3 ნაწილების მიხედვით, ირიბი ჩვენების არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ, მხარის შუამდგომლობის ან საკუთარი ნების საფუძველზე უნდა დაიბაროს პირდაპირი მოწმე სასამართლოში. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი მოწმე გარდაიცვალა, აქვს ფსიქიური პრობლემები ან თუ მისი მოძებნა შეუძლებელია. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, კრიმინალური პოლიციის ოფიცრებს არ აქვთ უფლება წარადგინონ ჩვენება მოწმეთა დაკითხვის საფუძველზე რომელიც განხორციელდა ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

ინგლისსა და უელსში 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტი ირიბ ჩვენებას განსაზღვრავს, როგორც განაცხადს, რომლებიც „სამართალწარმოებაში არ არის გაკეთებული ზეპირად“, თუმცა გამოიყენება, როგორც „მტკიცებულება ნებისმიერ დადგენილ საკითხთან მიმართებით“. ირიბი ჩვენების დასაშვებისთვის პირველადი ჩვენების მიმცემი, არ გამოცხადებული პირი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს: უნდა იყოს გარდაცვლილი; ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოწმედ გამოცხადება; უნდა იმყო-

5 იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 1|1| 548, 2015 წლის 22 იანვარი, 36.

6 Criminal Law In criminal proceedings: hearsay and related topics (1995), The Law Commission Consultation Paper, № 138.

7 Stefani, Levasseur et Bouloc, Procedure Penale (15th ed 1993) para 688.

8 SSTC 217/1989, 21 დეკემბერი; ასევე, 131/1997, 15 ივლისი.

ფეხობდეს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ და გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს მისი პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა; შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოძებნა თუ მიღებულია ყველა გონივრული ზომა მის მოსაძებნად.

კანადაში ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხი მოქნილია, დამოკიდებულია რა სასამართლოზე, თუმცა არსებობს ზოგადად ჩამოყალიბებული წესები. კანადის სასამართლოები ირიბ ჩვენებას იღებენ იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს ორ კრიტერიუმს: 1) თუ მტკიცებულება აუცილებელი და დამაჯერებელია; 2) მტკიცებულების ღირებულება უფრო წონადია ვიდრე მისი საზიანოობა ბრალდებულისთვის.

პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ კრიტერიუმები დაკმაყოფილებული იქნება, თუ ირიბი ჩვენება აუცილებლობას წარმოადგენს იმისთვის, რათა დამტკიცდეს კონკრეტული ფაქტი, თუ პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს და იმავე ხარისხის მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელია.⁹

ამერიკის შეერთებულ შტატებში ირიბი ჩვენების დაშვების წინააღმდეგ არსებული წესიდან გამონაკლისების საკმაოდ ფართო ჩამონათვალია,

რომელიც გათვალისწინებულია მტკიცებულების მიღების ფედერალური წესების 803-ე და 804-4 მუხლებში, კერძოდ, **დაუყოვნებლივი შთაბეჭდილება** - განცხადება, რომელიც აღწერს ან განმარტავს შემთხვევას ან მდგომარეობას, რომელიც გაკეთებულია დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა აღიქვა იგი. **აღელვებით გაკეთებული განაცხადი** - განცხადება, რომელიც დაკავშირებულია ამაღელვებელ შემთხვევასთან ან მდგომარეობასთან და გაკეთებულია იმ პერიოდში, როდესაც დეკლარანტი აღელვების სტრესის ქვეშ და ა. შ.

ამდენად, როგორც დავინახეთ დასავლეთ ევროპული ქვეყნების ნაწილი მოკლედ და კონკრეტულ გამონაკლისებს უშვებს ირიბი ჩვენების დასაშვებობისას. ამერიკული მოდელი მოიცავს საკმაოდ ფართო გამონაკლისებს, ასევე ფართოა კანადური მოდელიც, თუმცა ამ შემთხვევაში ფაქტის შეფასება მოსამართლეზეა დამოკიდებული. ირლანდიასა და ბრიტანეთში პრეცედენტული სამართალით დადგენილი წესები არაერთმნიშვნელოვანია, ბალანსია დაცული მოსამართლის დისკრეციასა და კონკრეტული გამონაკლისების განსაზღვრას შორის.

9 CONSULTATION PAPER HEARSAY IN CIVIL AND CRIMINAL CASES (LRC CP 60 - 2010) © COPYRIGHT Law Reform Commission, Ireland

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი matsne. Gov. ge;
2. შ. ფაფიაშვილი, მტკიცების ცნება, არსი და მნიშვნელობა წიგნში საქართველოს „სისხლის სამართლის პროცესი“, ზოგადი ნაწილი, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013,
3. სისხლის სამართლის საქმე #1/4595-14 #006230414001 ზ.გ.-ს მიმართ;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები, სისხლის სამართლის პროცესი, 7-12, 2014. საქმე # 218აპ-14. გვ. 133-142;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 1|1| 548, 2015 წლის 22 იანვარი, 36;
6. Criminal Law In criminal proceedings: hearsay and related topics (1995), The Law Commission Consultation Paper, № 138.
7. Stefani, Levasseur et Boulloc, Procedure Penale (15th ed 1993) para 688.
8. SSTC 217/1989, 21 დეკემბერი; ასევე, 131/1997, 15 ივლისი.
9. CONSULTATION PAPER HEARSAY IN CIVIL AND CRIMINAL CASES (LRC CP 60 - 2010) © COPYRIGHT Law Reform Commission, Ireland